პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

11 ივლისი შაბათი 1987 წ. № 2 (3004) 11 ИЮЛЯ СУББОТА 1987 Г. ფასი 3 კაპ. ЦЕНА 3 КОП.

## Политической учёбе – высокую эффективность

Важным фактором повышения идейно-теоретического уровня работников органов внутренних дел является правильная организация учебного процесса в системе политического и экономического образования. В прошедшем учебном году, в соответствии с требованиями ЦК КПСС, ЦК КП Грузии, Политического управления МВД СССР, содержание всей учебы личного состава органов и подразделений внутренних дел республики было подчинено более углубленному изучению материалов XXVII съезда КПСС. При этом главное внимание было сосредоточено на изучении основополагающей проблемы — стратегии ускорения социально-экономического развития страны, доведении до каждого сотрудника ее роли в решении задач, стоящих перед нами на современном этапе.

В этих целях в подавляющем большинстве горрайлинорганов и подразделений под руководством политаппарата, партийных организаций пропагандистами дорабатывалась предлагаемая тематика занятий с учетом специфики оперативно-служебной деятельности, состояния дисциплины и соцзаконности в каждом конкретном коллективе.

Повышению уровня политической учебы в значительной мере способствовало улучшение качественного состава пропагандистских кадров. Совершеннее стала работа по их подготовке и обучению, возросла в ней роль методических советов.

В процессе политического обучения активно использовалась методическая помощь, возможности системы политического просвещения при партийных комитетах, организаций общества «Знание», культурно-просветительных, научных, учебных организаций и учреждений на местах. Положительный опыт такой работы накоплен в Потийском, Горийском ГОВД, Хашурском, Горийском, Махарадзевском и ряде других РОВД.

Важной особенностью минувшего учебного года явилась апробация новых форм, современных подходов к организации политического просвещения. В этих целях на местах была усовершенствована структура учебных групп с учетом интересов и направленности отдельных служб. Шире привлекались к проведению лекционных занятий делегаты XXVII съезда КПСС и XXVII съезда Компартии Грузии, XX съезда ВЛКСМ и XXXIII съезда комсомола Грузии, представители партийных и советских органов, ученые и специалисты народного хозяйства. В Махарадзевском РОВД вошло в практику проведение выездных занятий с посещением историко-революционных мест, музеев. В Хашурском, Горийском РОВД на занятия приглашаются известные люди района, ветераны партии, труда.

Активнее применялись меры стимулирования лучших пропагандистов и слушателей. По итогам года поощрено более 160 человек. Вместе с тем к сотрудникам, игнорирующим значение и важность политического образования применялись меры партийного и административного воздействия. Так за недостатки в организации и проведении данной работы наказаны сотрудники Цхалтубского ГОВД, Гегечкорского РОВД, ряда подразделений УВД Тбилгорисполкома.

В целях повышения дальнейшей эффективности политической учебы и заинтересованности пропагандистов и слушателей в изучении каждой темы в апреле нынешнего года политическим отделом МВД ГССР проведен конкурс на лучший реферат, подготовленный про-

(окончание на 2-й стр.)

## თავი გამოიჩინეს



სურათებზე: მოწინავე უბნის ინსპექტორები — თბილისის ლენინის შს რაიგანყოფილების უფროსი უბნის ინსპექტორი, მილიციის მაიორი ლ. გოგნაძე და გარდაბნის შს რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ნ. ალიევი.



მასალებს მათი სამსახურებრივი პრაქტიკიდან კონკრეტული მიმართულებების მიხედვით შემოგთავაზებთ გაზეთის მომდევნო ნომრებში.

## ახალი კანონი

ამა წლის 30 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით მიღებული იქნა კანონი

მოქალაქეთა უფლებების შემლახავი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ.

კანონი მოქმედებაში შედის 1988 წლის 1 იანვრიდან.

კანონის ტექსტი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების თაობაზე გამოქვეყნებულია პრესაში.

## ИЗДАН ТРЁХТОМНИК

избранных речей и статей Генерального секретаря ЦК КПСС М. С. Горбачева. Вошедшие в издание произведения охватывают по времени почти два десятилетия. В них показана жизнь Советской страны в ее полноте и сложности, глубоко проанализированы и наши достижения и противоречия в развитии общества, ошибки и упущения. Материалы книг дают представление о развитии политического и теоретического стиля автора, преемственности его идей, их новаторстве.

## ვულოცავთ

ცნობილ ქართველ მწერალს, გაზეთ „მებრძოლი გუშაგის“ ყოფილ რედაქტორს ვლადიმერ ალფენიძეს დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა.

საქართველოს შს სამინისტროს სახელით ჩვენი რედაქციის კოლექტივი ულოცავს იუბილარს ამ თარიღს და უსურვებს ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

В ПОЛИТИЧЕСКОМ ОТДЕЛЕ МВД ГССР

## УКРЕПЛЯТЬ ДИСЦИПЛИНУ И СОЦИАЛИСТИЧЕСКУЮ ЗАКОННОСТЬ

На состоявшемся на днях совещании политического отдела МВД ГССР рассмотрен ход выполнения постановления ЦК КПСС от 20 ноября 1986 года «О дальнейшем укреплении социалистической законности и правопорядка, усилении охраны прав и законных интересов граждан». О первоочередных мероприятиях по реализации соответствующих приказов МВД СССР и МВД ГССР заслушаны информации начальников политотделов МВД Абхазской и Аджарской АССР, УВД Юго-Осетинской автономной области, УВД г. Тбилиси, ГУВДТ, политчасти УВД г. Кутаиси. Было отмечено, что несмотря на определенное улучшение работы по укреплению социалистической законности среди личного состава ОВД республики имеется еще ряд серьезных проблем, требующих скорейшего решения.

Заострено внимание на необходимости усиления мер партийного влияния, улучшения работы по профилактике нарушений, повышения уровня профессиональной подготовки работников органов внутренних дел республики. Руководителям политорганов предложено по итогам 1 полугодия организовать в каждом коллективе обсуждение состояния соблюдения личным составом социалистической законности и дисциплины. При этом особое внимание сосредоточить на выявлении причин нарушений и их предупреждении.

По второму вопросу — «О работе политического отдела МВД Абхазской АССР по подбору, расстановке и обучению кадров политаппарата в свете требований январского (1987 г.) Пленума ЦК КПСС» выступил подполковник милиции Э. Минасян. Было отмечено, что в данной работе все еще имеются серьезные просчеты и недостатки, не сделаны соответствующие выводы из прошлой критики политотдела МВД ГССР. По-прежнему имеет место волокита в подборе кадров, отсутствие необходимой помощи вновь назначенным политработникам в их профессиональном становлении.

В связи с вышеизложенным политотдел МВД ГССР, обратив внимание на низкий уровень работы с кадрами политсостава, потребовал от политотдела МВД Абхазской АССР критически пересмотреть установившуюся практику подбора и расстановки кадров с учетом требований январского (1987 г.) Пленума ЦК КПСС.

Итоги совещания подвел начальник политического отдела МВД ГССР полковник милиции А. З. Анкваб. В работе совещания принял участие начальник отдела по работе среди комсомольцев Политического управления МВД СССР, подполковник внутренней службы В. М. Тюсов.

## მხოლოდ ფაქტები

მიმდინარე წლის 1-დან 15 ივნისამდე რესპუბლიკის შს საქალაქო და რაიონული განყოფილებების უბნის ინსპექტორების მიერ გამოვლენილია: არაშრომითი შემოსავლის 228 ფაქტი, 310 უმუშევარი, 650 მოძრაობის წესების, 63 სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის, 885 საპასპორტო რეჟიმის დამრღვევი, 221 არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლი, 114 ხანძრო უსაფრთხოების წესების და 119 მატერიალურ ფასეულობათა შენახვის პირობების დარღვევის ფაქტები; ამოღებულია 199 ცეცხლსასროლი იარაღი (112 არ იყო რეგისტრირებული), მოსახლეობას ჩამოერთვა 1824 ლიტრი თვითნახადი სპირტიანი სასმელი და 221 არყის გამოსახდელი აპარატი.

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიულ კომიტეტში

გაიმართა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული კომიტეტის სხდომა.

სხდომაზე გამოსულმა ამხანაგებმა პრინციპულად ისაუბრეს სახანძრო დაცვის, არასაუწყებო, შრომა-გამასწორებელი დაწესებულებების სამმართველოებისა და სხვა სამსახურების პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეულ მუშაობაზე კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის გააქტიურების საქმეში. საკავშირო კომკავშირის XX და საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის შუქზე. არასაუწყებო დაცვის სამმართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

აღინიშნა, რომ შემდგომ საქმიანობაში პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ კომკავშირელებთან მუშაობის საკითხებს, უფრო აქტიურად უნდა ჩააბან სამსახურებრივ საქმიანობაში ალკკ პირველადი ორგანიზაციების მდივნები, უფრო მეტად და ნაყოფიერად დაეხმარონ მათ მუშაობის უკეთ წარმართვაში.

გაანალიზდა გარდაქმნის მოთხოვნების შესაბამისად არასაუწყებო დაცვის სამმართველოს პირველადი პარტორგანიზაციის საქმიანობა, ითქვა, რომ გარკვეული მუშაობის მიუხედავად, ამ მხრივ კვლავ ბევრია გასაკეთებელი.

დამტკიცდა შს სამინისტროს პარტიული კომიტეტის 1987 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა.

განხილულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი დადგენილებები.

## ანონსი

შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ:

- ინფორმაციას ცხინვალის მილიციის თანამშრომლების ქალაქის მშრომელებთან შეხვედრის შესახებ;
- შს ორგანოების თანამშრომელთა მიერ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევების ფაქტებს;
- ინტერვიუს სპორტის დამსახურებულ ოსტატთან, თბილისის „დინამოს“ ყოფილ ფეხბურთელთან გივი ჩოხელთან.

# Политической учёбе—высокую эффективность

(окончание)

пагандистами по пятой теме курса «Ускорение социально-экономического развития — стратегическая линия КПСС» — «Социальная сфера и ее возрастающее значение в жизни социалистического общества». Итоги первого этапа конкурса подведены в горрайлинорганах, второго— политотделом МВД ГССР. При этом основными критериями оценки рефератов были: отображение преобразований, происходящих в стране, разъяснение политики партии и правительства, умение увязывать тему с социально - экономическими показателями города, района, состоянием оперативно-служебной деятельности, соцзаконности и дисциплины среди личного состава. Победители конкурса рефератов — подполковники в/с О. Чахунашвили и О. Цинцадзе, полковник милиции З. Табидзе, майоры милиции И. Квадзе, В. Корнеев, Д. Пачулия и капитан милиции П. Пейкришвили представлены на награждение министром внутренних дел ГССР.

О некоторых положительных изменениях в организации и эффективности политической учебы свидетельствуют и итоговые занятия, проведенные 20 июня текущего года, в которых приняли участие члены коллегии, руководители служб, партийный актив МВД ГССР. Анализ показал, что учебная программа на 1986—1987 гг. выполнена полностью. На «отлично» она усвоена 20 процентами слушателей (в прошлом году — 13 процентов), оценку «хорошо» получили 49 процентов слушателей (в прошлом году 47 процентов), «удовлетворительно». — 31 процент (в прошлом году 40 процентов), отмеченные положительные тенденции явились результатом более системного контроля за состоянием политической учебы со стороны политаппарата, партийных организаций системы МВД. Как правило, во всех органах и подразделениях подготовка, ход и результаты учебы рассматривались на партийных собраниях. Во многих ГРОВД практиковались заслушивания конкретных пропагандистов. в ходе которых их работе давалась принципиальная оценка.

В марте на совещании политотдела МВД ГССР был рассмотрен вопрос «Об организации политучебы личного состава в Телавском РОВД и мерах по усилению ее влияния на улучшение оперативно - служебной деятельности, укрепление социалистической законности и дисциплины», по результатам которого на места было направлено указание.

Принятые меры по повышению идейно - теоретического уровня личного состава закономерно повлияли на рост служебной и общественной активности сотрудников, способствовали сокращению числа нарушителей дисциплины и социалистической законности, за 6 месяцев нынешнего года в целом по МВД республики на 14,8 процента.

Однако еще не все политработники, секретари партийных организаций осознали важность перестройки системы политической и экономической учебы. Много нареканий на совещании политотдела вызвала организация данной работы в Телавском РОВД. В направленном на места указании были перечислены недостатки и названы пути их устранения. Однако последующие выезды на места работников политического отдела МВД ГССР показали, что не были сделаны соответствующие выводы в Ланчхутском, Маяковском, Гегечкорском, Богдановском, Ахалкалакском, Цителцкаройском и ряде других ГРОВД. Больным местом продолжает оставаться вопрос использования в ходе занятий технических средств, наглядных пособий.

В предстоящем учебном году внимание политаппарата, партийных организаций МВД ГССР должно быть сосредоточено на устранении имеющихся недостатков. В соответствии с требованиями, заложенными в проекте основных направлений перестройки системы политической и экономической учебы трудящихся, необходимо совершенствовать стиль и методы идейно - политического воспитания сотрудников с тем, чтобы оно стало действенным рычагом укрепления дисциплины и соцзаконности, повышения общественно-политической активности личного состава.

**В. ЦАГАРЕЙШВИЛИ,**
капитан милиции, старший инструктор политического отдела МВД ГССР.

## თბილისის შს სამმართველოდან გვატყობინებენ:

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მორიგ სხდომაზე განიხილა 26 კომისრის რაიონში ჩატარებული რეიდის დროს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში გამოვლენილი სერიოზული დარღვევები.

აღინიშნა, რომ რაიონის საზკვებების ტრესტის ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი წაყრუებისა და უმოქმედობის შედეგად საზკვების ობიექტებში განუსაზღვრელი რაოდენობით იყიდებოდა სპირტიანი სასმელები და რესტორნის სხვა ასორტიმენტი. ამ ობიექტებზე და განსაკუთრებით კაფე „საოჯახო შეხვედრებში" თავს იყრიდნენ საეჭვო პირები, რასაც ხელი შეუწყო ნეგატიურ მოვლენებთან 26 კომისრის რაიონის შს რაიგანყოფილების ხელმძღვანელთა შემგუებლურმა დამოკიდებულებამ.

აღნიშნული დარღვევებისათვის მკაცრად დაისაჯნენ პასუხისმგებელი მუშაკები:

26 კომისრის რაიონის შს რაიგანყოფილების უფროსს, მილიციის მაიორ ნ. მგალობლიშვილს გამოეცხადა საყვედური; ვაზისუბნის შს ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ქ. ბალამწარაშვილი მოიხსნა დაკავებული თანამდებობიდან; მის მოადგილეს, მილიციის მაიორ უ. ირემაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. უბნის ინსპექტორების მუშაობის ნაკლოვანებებზე იმსჯელებენ 26 კომისრის რაიონის შს რაიგანყოფილებაში.

## მხოლოდ ლოზუნგად არ უნდა დარჩეს

**მართლწესრიგისათვის** ბრძოლაში წარმატების საწინდარი საზოგადოებასთან მტკიცე კავშირია. მილიციის მუშაობის გარდაქმნა დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად სწორედ ამ კავშირის გაღრმავებასა და განმტკიცებას მოითხოვს.

ხალხის სატკივარი — მილიციის სატკივარია. მან უნდა იცოდეს, რა აწუხებს ხალხს, რას მოითხოვს იგი მისგან და ამის მიხედვით უნდა წარმართოს მუშაობა. ამ მხრივ შს ორგანოების საქმიანობაში დადებითი ძვრები შეინიშნება. შს სამინისტროს ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს საზოგადოებრივ აზრს, ცდილობს თანამშრომელთა მხრიდან დარღვევის არც ერთი ფაქტი არ დატოვოს საჯარო განხილვის გარეშე, გააღრმავოს კონტაქტი მოსახლეობასთან.

ჯერ ადრეა იმის თქმა, მიღწეულია თუ არა საზოგადოებისა და მილიციის სრულყოფილი ურთიერთობა, მაგრამ მხოლოდ ფაქტი, რომ მილიცია თავად ცდილობს ასეთი კონტაქტების გამონახვას, მისასალმებელია. თუნდაც იმიტომ, რომ საჭიროა ჯერ კიდევ არსებული უნდობლობის აღმოფხვრა.

ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში კალინინის მილიციის რაიგანყოფილების ინიციატივით გაიმართა რაიონის მოსახლეობასთან — დაწესებულებების, სკოლების, სხვადასხვა ორგანიზაციების მუშამოსამსახურეებთან შეხვედრა. თავიანთ მუშაობაზე ისაუბრეს და შეკითხვებზე უპასუხეს მილიციის რაიგანყოფილების სხვადასხვა სამსახურების უფროსებმა, აღნიშნეს, რომ კარგი იქნებოდა რაიონის მოსახლეობის უფრო აქტიური ჩაბმა მართლწესრიგის დაცვის საქმეში, ხაზი გაუსვეს მის როლს მილიციის მუშაობის წარმატებით წარმართვაში.

საზოგადოების წარმომადგენლებმა მადლობა გადაიხადეს შეხვედრაზე მოწვევისათვის, აღნიშნეს მილიციის რამდენიმე თანამშრომლის, კერძოდ, უბნის ზოგიერთი ინსპექტორის კარგი მუშაობა და იმედი გამოთქვეს, რომ ასეთი შეხვედრები კვლავ განმეორდება.

— მართალი გითხრათ, უფრო მეტი ხალხის მოზიდვაა საჭირო — გვითხრა კალინინის მილიციის რაიგანყოფილების უფროსის, მოადგილემ პოლიტდარგში, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ვ. ქათამაძემ, — ჯერ კიდევ არაა მიღწეული ხალხისა და მილიციის ისეთი კონტაქტი, ჩვენდამი მოთხოვნებს რომ შეეფერება. ვეცდებით, მეტი გავაკეთოთ, ეს შეხვედრა ამ საქმის სრულყოფის საწინდრად მესახება.

ჩვენც უნდა დავეთანხმოთ მას. სწორედ საზოგადოებასთან კონტაქტია შს ორგანოების წარმატებული მუშაობის საწინდარი და ეს სიტყვები ცარიელ ლოზუნგად არ უნდა დარჩეს.

**ვ. დავითიძე.**





# СЛУЖЕБНЫМ ПОМЕЩЕНИЯМ— ОБРАЗЦОВЫЙ ПОРЯДОК

Улучшение работы и укрепление дисциплины сотрудников органов внутренних дел во многом зависит от чистоты и порядка на их рабочих местах. Проведенный во втором квартале нынешнего года смотр культуры содержания зданий и помещений органов и подразделений внутренних дел республики показал, что в большинстве своем они отвечают предъявленным требованиям.

Завершен капитальный ремонт зданий в Махарадзевском, Сачхерском, Мцхетском, Каспском, Хобском, Сабурталинском и ряде других РОВД, приняты меры по их оборудованию необходимой наглядной агитацией. В более чем трети ГРОВД в настоящее время ведется капитальный ремонт, в ряде районов завершается строительство новых зданий милиции. Во многих горрайорганах для личного состава открыты столовые и буфеты, (составляет 36 процентов от общего числа) что является свидетельством заботы о сотрудниках.

Вместе с тем следует отметить, что не во всех горрайорганах и подразделениях политработники и руководители уделяют должное внимание таким важным вопросам как культура содержания рабочих помещений.

Многие помещения органов и подразделений нуждаются в ремонте. Так, в Адигенском, Цагерском. Ахалкалакском, Богдановском, Абашском, Амбролаурском и других ГРОВД на фасадах зданий имеются потеки, поломаны вывески, осыпается штукатурка, протекают крыши и т. д.

В некоторых РОВД не поддерживается элементарная чистота. В Карельском, Октябрьском, Гурджаанском, Ланчхутском, Сигнахском, Первомайском и других РОВД в кабинетах сотрудников по-прежнему царит нерабочая обстановка. В коридорах многих ГРОВД грязь, неубранные урны, на стенах многочисленные старые объявления, порой частично оборванные.

Практически ни в одном горрайоргане не оформлена должным образом наглядная агитация, стенды и плакаты не меняются годами. Подобное положение, к примеру, создалось в Марнеульском, Зестафонском, Чохатаурском РОВД.

В более чем 60 процентах ГРОВД не изысканы возможности для открытия столовых, либо буфетов для личного состава.

Все перечисленные недостатки в большинстве своем обусловлены тем, что руководители, политработники органов и подразделений внутренних дел считают, что данная работа не является составной частью их функциональных обязанностей, рассматривают ее как дело второстепенной важности. В настоящее время на места дано указание, используя имеющиеся возможности, в кратчайший срок принять меры по приведению зданий и помещений ГРОВД в порядок, созданию личному составу нормальных условий для работы по достойной встрече 70-летия советской милиции.

**В. ТАТАЕВА,**
старший лейтенант в/с, инструктор политического отдела МВД ГССР.



**ОТ РЕДАКЦИИ:** Когда верстался номер, был проведен рейд по г. Тбилиси для выявления подобных фактов. Вот какая картина предстала перед нами в Кировском РОВД, в ГАИ Октябрьского РОВД, приемнике - распределителе при УВД г. Тбилиси. К сожалению, они не являются исключением. Рейды редакции будут проводиться и в будущем.

## „პარტიული სიტყვა" № 12

**ჟურნალში** დაბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პასუხი გაზეთ „უნიტას" რედაქციის კითხვებზე, მასალები საქართველოში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. კ. ლიგაჩოვის ყოფნის შესახებ.

რუბრიკით — „საცხოვრებელი ადგილი — აღზრდის კერა" გამოქვეყნებულია ც. შავგულიძის „უკვე ხილული კონტურები".

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „ოქტომბერი და საქართველო", „აგიტატორს, პოლიტინფორმატორს"; „ჟურნალის კრიტიკული გამოსვლის შესახებ: გამოძახილი"; „კარგ გამგონეს კარგი მთქმელი უნდა"; „გვწერენ, შენიშნავენ, ამხილებენ" და სხვ.

## სამართლებრივი აღზრდის სრულყოფისათვის

**თელავის** იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარდა სამართლებრივი აღზრდის კვირეული, რომელშიც მონაწილეობდნენ თელავის შს რაიგანყოფილების სხვადასხვა სამსახურების თანამშრომლები.

კვირეულის დასკვნითი ღონისძიება იყო თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ პროფესორი ნ. მალუძე, მილიციის რაიგანყოფილების უფროსი თ. ანჯაფარიძე, მოსამართლე მ. პოპიაშვილი, პროკურორი ზ. ლვედაშვილი.

## ТОЛЬКО ФАКТЫ

◆ 5 июля в Кировском районе г. Тбилиси сотрудниками УУР МВД ГССР на основании оперативных данных, задержаны М. Рустамов, Э. Тагиев и В. Чертов, у которых изъято 500 гр. кокнара и 34 ампулы омнопона.

◆ 5 июля сотруниками Ланчхутского РОВД задержан М. Хаджи-оглы, рабочий батумского завода «Бытмаш», у которого изъяты: револьвер системы «Наган» и один боепатрон к пистолету системы «Макаров». В доме и на рабочем месте у него изъяты также: самодельный пистолет, боепатроны от револьвера системы «Наган», карабина, малокалиберной винтовки, различные детали для сборки оружия, 23 самодельных ножа и лезвия для их изготовления.

◆ 5 июля в дневное время в г. Сухуми неустановленный преступник через балкон проник в одну из комнат дома отдыха «Абхазия» и совершил кражу золотых изделий, принадлежащих отдыхающей С. Семеновой. Ведется расследование.

◆ 6 июля сотрудниками УБХСС МВД ГССР совместно с сотрудниками РОВД задержан главный врач Душетской райбольницы В. Сирадзе, который в качестве взятки выманил 2000 рублей у С. Ходжоян за назначение её по совместительству в медпункт села Ахатани.

◆ 6 июля в медицинские вытрезвители республики было помещено 55 человек, в том числе в медвытрезвитель при УВД Тбилгорисполкома — 10 человек.

## ХРОНИКА

Полковник милиции Гвaрамия Вахтанг Леванович назначен на должность заместителя начальника УВД Тбилгорисполкома.

◆

За поверхностные и неквалифицированные действия, выразившиеся в непринятии мер по сбору всех необходимых материалов в отношении гр-на Г. Кикнадзе по факту обнаружения у него оцинкованных листов, в результате чего данный факт оставлен без реагирования, старшему оперуполномоченному УР ЛОВД на станции Хашури капитану милиции В. Курдадзе объявлен строгий выговор.

### იგი ჩვენს შორის მსახურობს



# ოცდაშვიდი წელი წესრიგის სამსახურში

**არიან** ადამიანები, რომელთა ცხოვრებასა და შრომას ერთი მიზანი აქვს — პირნათლად, მუხლჩაუხრელად ემსახურონ მშობლიურ ქვეყანასა და ხალხს, არჩეულ პროფესიას.

შინაგან საქმეთა ორგანოებში უბნის ინსპექტორობა ერთ-ერთი რთული და პასუხსაგები თანამდებობაა. ათასი წვრილმანი თუ სერიოზული პრობლემა — ლოთობა, ნარკომანია, უმუშევრობა, არასაიმედო, კონფლიქტური ოჯახები, ბინის ქურდობა — ჩნდება ყოველდღე ინსპექტორის წინაშე. ყოველივე ამას დაუშრეტელი ენერგიის, გამოცდილი კაცის თვალი სჭირდება. ამ წერილით გაგაცნობთ სწორედ ერთ-ერთ იმათგანს, ვინც გამთენიიდან დაღამებამდე სასიკეთო საქმეს — მინდობილი უბნის სიმშვიდეს — ემსახურება.

ქალაქ თბილისის 1 მაისის რაიონული განყოფილების უფროსი ინსპექტორის, მილიციის მაიორის ზაურ ნამგალაძის სამუშაო ოთახში მაშინ შევედი, როცა იგი მორიგ დარიგებას აძლევდა სსრკ შინაგან საქმეთა მილიციის მოსკოვის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის IV კურსის კურსანტს რაჟდენ ამირხანაშვილს. ჩვენი საუბარიც მისგან დაიწყო.

— აგერ უკვე სამი თვეა პრაქტიკაზე ვარ და დამერწმუნეთ, მასთან ურთიერთობით, როგორც პროფესიონალისა და როგორც პიროვნებისაგან ბევრი რამ შევიძინე — მითხრა რ. ამირხანაშვილმა.

მისი სიტყვების სისწორეში ეჭვიც არ შემპარვია, რადგან კაცმა, რომელმაც 27 წელი შინაგან საქმეთა ორგანოებში იმსახურა, მართლაც მდიდარი გამოცდილება შეიძლება გადასცეს მომავალ ოფიცერს.

1959 წლიდან იწყება ზაურ ნამგალაძის სამსახურის გზა, რომელიც სავსე იყო ათასი ხიფათით და უძილო ღამეებით. მან მრავალი საქმის გახსნაში მიიღო მონაწილეობა. გავიხსენოთ თუნდაც ერთი, როცა მან 1977 წელს უბნის ინსპექტორ ივანე ჩალანგარიშვილთან ერთად გახსნა ბინის ქურდობის საქმე, რომელშიც 26 კაცი მონაწილეობდა.

დღეს ზაურ ნამგალაძის სამოქმედო არე ოცდაორ საცხოვრებელ კორპუსსა და კერძო დასახლებას მოიცავს. უბანში ყოველდღიურად წამოიჭრება უამრავი პრობლემა, რომელთა გადაჭრას დიდი ენერგია, ოპერატიულობა, თითოეულ მობინადრესთან მიდგომის ტაქტი და გამოცდილება სჭირდება — საქმე ხომ ადამიანს, მის სასიცოცხლო ინტერესებს ეხება და უზრუნველყოფს ... მუშაობის ახლებურად წარმართვა, გარდაქმნა, — აი, მისი სადღესით საზრუნავი.

ამ და სხვა საკითხებზე იყო მსჯელობა მიმდინარე წლის 20 მაისს მოსკოვში გამართულ უბნის ინსპექტორთა საკავშირო სემინარზე, სადაც იგი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ადერთი წარმომადგენელი იყო. ორი დღით ადრე, 18 მაისს კი ზაურ ნამგალაძემ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სიგელი მიიღო. მისთვის დაუვიწყარია 1967 წელიც, როდესაც შინაგან საქმეთა ორგანოებში ნაყოფიერი და გულმოდგინე მუშაობისათვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს.

— სულ ახლახანს აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი უბნის 12 ოჯახს არაკანონიერად ჰქონდა გაქირავებული ბინები. ეს საკითხი რაიონის საფინანსო განყოფილებას გადავეცით, რომელმაც პროკურატურაში აღძრა საქმე. ახლა კი მაპატიეთ და ერთ-ერთ კონფლიქტურ ოჯახში მიმეჩქარება — მითხრა გამომშვიდობებისას ზაურ ნამგალაძემ — იქნებ მათი პრობლემა, როგორმე მოვაგვარო.

**ზ. გომართელი.**



# ВСТРЕЧА ТРЁХ ПОКОЛЕНИЙ

**СОСТОЯЛАСЬ НА ДНЯХ В ПОДРАЗДЕЛЕНИИ ПО ОХРАНЕ СООРУЖЕНИЙ ВОДОСНАБЖЕНИЯ УВД ТБИЛГОРИСПОЛКОМА**



Встречи ветеранов партии, МВД и Великой Отечественной войны с молодым пополнением органов и подразделений внутренних дел республики давно уже стали традиционными. Одна из таких встреч, имеющих большое идейно-воспитательное значение, состоялась на днях в клубе подразделения по охране сооружений водоснабжения УВД Тбилгорисполкома.

Молодые сотрудники получили возможность встретиться с бывшими руководителями своего подразделения: кавалером двух орденов Красной Звезды, почетным чекистом, полковником запаса Н. Арзнани и ветераном войны, полковником запаса З. Чачибая.

О большом и славном пути, пройденном ветеранами органов внутренних дел республики, об их деятельности по охране сооружений водоснабжения столицы республики рассказали присутствующим, нынешний командир подразделения, полковник милиции О. Сухашвили и сотрудница дома культуры им. Ф. Э. Дзержинского А. Саркисян. Молодые сотрудники узнали много интересного и необходимого для своей повседневной практической деятельности, заверили ветеранов в том, что с честью продолжат их славные боевые и трудовые традиции.

Ветеранам были вручены памятные подарки, а завершилась встреча, прошедшая в теплой сердечной обстановке, выступлением артистов агитбригады д/к им. Ф. Э. Дзержинского, руководимой В. Хелашвили

**Р. ПЕРАДЗЕ,**
**майор милиции**

**НА СНИМКЕ:** полковники запаса Н. Арзнани и З. Чачибая во время встречи с молодежью.

# „წითელი მილიციელიდან“ „მებრძოლ გუშაგამდე“

### შს ორგანოების პრესის ისტორიიდან

კ. მარქსის სახ. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება გაზეთ „წითელი მილიციელის“ ნომრები, რომლებიც 1926 წლითაა დათარიღებული. მართალია, გაზეთის პირველი ეგზემპლარები რესპუბლიკის არქივებსა და წიგნთსაცავებში დაცული არ არის, მაგრამ თვით გაზეთი „წითელი მილიციელი“ 1934 წლის დეკემბრის ნომერში წერდა: „ჩვენი გაზეთი „წითელი მილიციელი“ გამოდის 1926 წლიდან... საქართველოს მუშურ-გლეხური მილიციის ორგანომ გაზეთმა „წითელმა მილიციელმა“ განვლო დიდი გზა დაწყებული 1926 წლიდან 1933 წლის ბოლომდე. განვლილი ისტორია ნათლად მოგვითხრობს გაზეთის ბრძოლას აგიტატორ-პროპაგანდისტის როლის განმტკიცების საქმეში“ (შემონახულია ერთი ეგზემპლარი).

„წითელმა მილიციელმა“ თავიდანვე მიიპყრო მკითხველის, ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება. გაზეთი უბადლო პროპაგანდისტი იყო იმ საუკეთესო ტრადიციებისა, რომლებიც ქართულმა ჩეკისტურმა სკოლამ გამოიმუშავა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების, ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და სოციალისტური სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის ბრძოლის პერიოდებში.

1939 წლიდან „წითელ მილიციელს“ „საბჭოთა მილიციელი“ ეწოდა, მასში სისტემატურად იბეჭდებოდა საინტერესო სტატიები, კორესპონდენციები, თემატური გვერდები, გაზეთში ნახავთ უამრავ ფაქტობრივ მასალას, ცნობებს მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოების ოპერატიული მუშაობიდან, დიდ ცვლილებებს, რომლებიც განიცადეს მილიციის დანაყოფებმა და ცალკეულმა სამსახურებმა დიდი სამამულო ომის და მის შემდგომ პერიოდში. ყურადღების ღირსია და საინტერესოა მასალები, რომლებიც მილიციის ორგანოებში ჩეკისტური სიწმინდის დაცვისა და მხედრული დისციპლინის ამაღლების, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს ეხება.

1965 წელს საქ. სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ (მინისტრი ამხ. ე. ა. შევარდნაძე) გაითვალისწინა გაზეთის, როგორც ყველაზე ბასრი და ყველაზე მძლავრი იარაღის, როლი პირადი შემადგენლობის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, მისი იდეური წრთობის ამაღლების საქმეში და მიზანშეწონილად ჩათვალა სამინისტროს სისტემაში არსებული მრავალტირაჟიანი გაზეთები „საბჭოთა მილიციელი“ და „საქართველოს მეხანძრე“ ერთ დიდფორმატიან გაზეთად გაეერთიანებინა. საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1965 წლის 30 ნოემბერს განიხილა აღნიშნული საკითხი და მიიღო შესაბამისი დადგენილება. შეიქმნა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოს გაზეთი „მებრძოლი გუშაგი“, რომელიც გამოდიოდა „პრავდის“ ფორმატით, ქართულ და რუსულ ენებზე. 1967 წლიდან კი იგი მოსახლეობაში გავრცელდა 350 ათასი ტირაჟით. დაარსდა „მებრძოლი გუშაგის“ დამატებაც — შრომა-გასწორების დაწესებულებათა საუწყებო გაზეთი „შრომითი ცხოვრებისათვის“. გაზეთ „მებრძოლი გუშაგის“ სახელწოდების შერჩევაზე თანამშრომელთა შორის სხვადასხვა აზრი იყო, ერთი ნაწილი მოითხოვდა გაზეთს დარქმეოდა „საბჭოთა მილიცია“, „საბრძოლო საგუშაგოზე“, „ძერჟინსკელი“, „კანონიერების სადარაჯოზე“, „საქართველოს ჩეკისტი“ და ა. შ. „მებრძოლი გუშაგი“ („ბაევოი სტრაჟ“) ჩვენ, რედაქციის მუშაკებმა, შევარჩიეთ (**ავტორი იმ პერიოდში მუშაობდა რედაქტორის მოადგილედ**).

სხვა რომ არაფერი, ზემოთ აღნიშნული სახელწოდებები ზოგიერთი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის გაზეთსაც ერქვა. ჩვენი წინადადება მოიწონეს სამინისტროს ხელმძღვანელებმა და პარტიულმა კომიტეტმა, თანხმობა გამოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმაც. გაზეთ „მებრძოლი გუშაგის“ პირველი რედაქტორი გახდა ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი გ. დ. პაპიაშვილი, მოადგილე — პ. ს. ხვიჩია, პასუხისმგებელი მდივანი — ქ. ვ. ბუჯიაშვილი.

გაზეთს შემოკრებილი ჰყავდა მწერლების, პოეტების, ჟურნალისტების ფართო აქტივი. მასში ხშირად იბეჭდებოდა ი. ნონეშვილის, ჯ. ჩარკვიანის, ა. გელოვანის, ს. წვერავას, ვ. ალფენიძის, ლ. სანაძე-გვაზავას, გ. ბათიაშვილის, მ. კერესელიძის, ჯ. მელაშვილის, გ. გვაძაბიას საინტერესო მოთხრობები, ლექსები, ნოველები, ჩანახატები. გაზეთში თანამშრომლობდნენ ცნობილი ჟურნალისტები, საზოგადოებრივი კორესპონდენტები, სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები.

„მებრძოლი გუშაგი“ გახდა ჩვენი სამინისტროს განუყოფელი ნაწილი, იგი იყო სიმართლისათვის მებრძოლი, ობიექტური, სამინისტროს ქვედანაყოფების საქმიანობაში კარგისა და ნაკლის დარბაისელი შემფასებელი. ამას ავტორთა აქტივის შემადგენლობაც განაპირობებდა. ქვეყნდებოდა ფუნდამენტალური სტატიები შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის პრობლემურ საკითხებზე, კორესპონდენციები დამნაშავეობასთან ბრძოლის ახალი პროგრესული მეთოდებისა და ხერხების გამოყენებაზე, მილიციის ორგანოების საქმიანობის პრაქტიკულ გამოცდილებაზე და სხვ.

გაზეთ „მებრძოლი გუშაგის“ სასიკეთო საქმეებზე მრავალჯერ დაიწერა სტატიები ცენტრალურ და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. მიუხედავად ამისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ 1970 წლის თებერვალში მიიღო დადგენილება „მებრძოლი გუშაგის“ გაუქმების შესახებ. დრომ გვიჩვენა, რომ ეს მცდარი ნაბიჯი იყო. ახალმა ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა დაშვებული შეცდომა და „მებრძოლი გუშაგი“ კვლავ შეუერთდა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების მძლავრ კოჰორტას.

**პ. ხვიჩია,**
**სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.**

**დასასრული, დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი“ № 1**

# კრახი

ფელეტონი

საზღვარგარეთ რამდენი სადაზღვევო ორგანიზაციაა, კარგად მოგეხსენებათ. კლიენტიც უამრავი ჰყავთ. ზოგი ავტომობილს აზღვევს, ზოგი სახლს, ზოგი საყვარელ ძაღლს, კატას, ნიანგს, გოჭს (რომლის სახლში ყოლაც პრესტიჟულია დასავლეთში) და თქვენ წარმოიდგინეთ... საკუთარ სიცოცხლესაც. ყველაფერს რა ჩამოთვლის! მერე როგორი ოსტატობით ახერხებენ კომპანიის აგენტები კლიენტების მიზიდვას. როგორი სერვისია! როგორი გამომგონებლობა! რთული და დაძაბულია მათი მუშაობა. ბევრის ფინანსური საქმე კარგად მიდის, ბევრიც გაკოტრების პირასაა. მთელი მსოფლიოს პრესა შემოიარა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ბრიტანული სადაზღვევო კომპანიის კრახმა. ასეთივე ბედი ეწია სხვასაც. მათ შორის უკვე არარსებულ თბილისურ კომპანიასაც. გეთანხმებით, გაოცებთ, რა საერთო აქვს ინგლისურს თბილისურთანო. მხოლოდ ერთი — ორივემ სრული კრახი განიცადა, განსხვავება კი ბევრი — პირველს კონსტიტუციამ ოფიციალური არსებობის უფლება მისცა, მეორესათვის კი ჩვენს კანონებს არავითარი უფლება არ მიუნიჭებია, პირიქით, სჯის კიდეც მის მფლობელებს. ალბათ მიხვდით რომ აქ საუბარი კანონიერ სახელმწიფო დამზღვევ ორგანოებზე არაა, იგი 1987 წელს თბილისში ჩამოყალიბებულ მეტად ორიგინალურ კომპანიას, სახელწოდებით „მიშა, კოსარევი და სხვები" ეხება. თვით მათი საზღვარგარეთელი კოლეგებიც კი გაოცდებოდნენ, რომ გაეგოთ, თუ რას და როგორ აზღვევდნენ ისინი.

მოგახსენებთ, არც მეტს, არც ნაკლებს, სრულიად ჩვეულებრივ... საიდუმლოს. ჩაიდინეთ ცუდი საქციელი? იქურდეთ? კი, ბატონო, კომპანია მუდამ თქვენს სამსახურშია — გარკვეული თანხის ფასად შეგიძლიათ ეს ამბავი არ გახმაურდეს. სერვისიც უმაღლეს დონეზეა — ვიდრე კლიენტი მათთვის საიდუმლოს გამხელას და დაზღვევას გადაწყვეტს, „მიშა, კოსარევი და სხვები" თავად გებულობენ მას და საიდუმლოს შენახვის საფასურსაც ბევრს არ ითხოვენ. ბიზნესი თითქოს ურიგო არ უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში ასე იფიქრეს „კომპანიის მფლობელებმა" — თბილისის ლენინის რაიონის მილიციის განყოფილების თანამშრომლებმა, მილიციის ლეიტენანტმა მ. გალოიანმა („მიშა"), უფროსმა ლეიტენანტმა ი. კოსარევმა („კოსარევი"), პირველი მაისის რაიონის მილიციის თანამშრომელმა, რიგითმა გ. რაზმაძემ და მათმა საქალაქო კოლეგებმა.

გაიცანით მათი პირველი და უკანასკნელი კლიენტები: მოქალაქეები მ. შიუკაევი, გ. კუშჩიანი და ნ. კოტორაშვილი.

ყველაფერი ასე დაიწყო: მ. შიუკაევს და გ. კუშჩიანს ერთი საიდუმლო ჰქონდათ. „თბილქალაქგაფორმებიდან" ავტომანქანა გაზ-24-ის ძრავი მოიპარეს. თავიდან არც კი უფიქრიათ თავისი საიდუმლოს დაზღვევა, მაგრამ კომპანია ამოქმედდა: „მიშამ" და „კოსარევმა" ავტომეურნეობის მექანიკოსის გ. მუჯირიშვილისაგან ძრავის დაკარგვა შეიტყვეს, სათანადო დოკუმენტი (განცხადება) დააწერინეს, შეაგროვეს ქურდობის დამამტკიცებელი ფაქტები და მ. შიუკაევსა და გ. კუშჩიანს 9000 მანეთის საფასურად სამსახური შესთავაზეს. დიდხანს იფიქრეს კლიენტებმა, ეძვირათ თანხა, ერთი პირობა 5000 მანეთამდე შემცირება მოითხოვეს, შემდეგ კი ეჭვი შეეპარათ, იქნებ არც თუ ისე მტკიცე გარანტია მივიღოთო (რაშიც უდავოდ მართლები იყვნენ) და საიდუმლო სხვა ადგილას განაცხადეს. რით დამთავრდებოდა ყველაფერი, ალბათ მიხვდებით. სხვა რომ არაფერი, ამ ისტორიამ, შემოთნახსენები ბრიტანული კომპანიისა არ იყოს, ძალზე დააინტერესა საინფორმაციო წყაროები.

ასეთივე დასასრული ჰქონდა პირველი მაისის მილიციის რაიგანყოფილების რიგითი გ. რაზმაძის ბიზნესსაც — თავიდან საქმე თითქოს აეწყო: მოქალაქე ნ. კოტორაშვილს ღრმად სჯეროდა, რომ სიყვარულს მალვა სჭირდებოდა მოპარული ცხენივით, მაგრამ დაზღვევას არ აპირებდა. რაზმაძემ და მისმა მეგობარმა თ. მაისურაძემ დაარწმუნეს კლიენტი, რომ ეს აუცილებელი იყო (5000 მანეთად), წინააღმდეგ შემთხვევაში, მის საიდუმლოს ამორალურობის იარლიყი მიეკერებოდა. ნ. კოტორაშვილმაც იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა, რომ „მოპარული ცხენი" ასე ძვირი არ ღირდა, ამიტომ საიდუმლო იქ განაცხადა, სადაც „მიშას" და „კოსარევის" კლიენტებმა.

კომპანიამ არსებობა შეწყვიტა — მილიციის სამივე თანამშრომლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. როდის შეუდგებიან ისინი მომავალ (იმედია, საზოგადოებრიობისთვის სასარგებლო) საქმიანობას, სასამართლო გადაწყვეტს. კანონს ვერც ისინი გადაურჩნენ, ვინც ხელი შეუწყო მათ „ბიზნესს" — ლენინის მილიციის რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო უფროსი ზ. მენთეშაშვილი, რომელმაც შემოსული განცხადება რეგისტრაციაში გაუტარებლად გადასცა მ. გალოიანს, განთავისუფლებულია თანდებობიდან, გაირიცხა სკკპ რიგებიდან და მის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. კანონი არც „კლიენტების" მიმართ დარჩება გულგრილი.

ასეთ დასასრულს ფინანსურ სამყაროში კრახი ეწოდება.

სხვა რა შეიძლება იყოს „მიშასა" და მისი მსგავსების საქმიანობის ბოლო? მხოლოდ და მხოლოდ... თუ გგონიათ, ძვირფასო მკითხველებო, რომ ასეთები ჩვენში აღარ არიან?

ვ. ნადირაძე

РЕПОРТАЖ



# Хорошего отдыха, «Мзиури»!

10 июля состоялось торжественное открытие пионерского лагеря детей сотрудников Министерства внутренних дел ГССР.

С утра в лагере царило праздничное настроение, и вот, в 19.00, зазвучал марш — играет духовой оркестр МВД под управлением капитана милиции Н. Желтухиной. Семь отрядов дружины «Мзиури» выстраиваются на торжественную линейку.

На трибуне — гости детворы: заместитель начальника хозяйственного отдела МВД ГССР подполковник милиции А. Мамулашвили, председатель объединённого комитета профсоюзных организаций Министерства внутренних дел республики Е. Теплицкий, секретарь комитета комсомола МВД ГССР капитан ВС Г. Девдариани.

Председатель совета дружины отдает рапорт старшей пионервожатой Л. Цицишвили, и звучит команда начальника лагеря И. Микадзе внести Государственный флаг СССР. Пионеры застыли в салюте, звучат гимны СССР и Грузинской ССР — флаг поднят...

Ребят приветствовал заведующий культмассовым сектором комитета комсомола УПО МВД ГССР старший лейтенант в/с Д. Ачарадзе — бывший пионер этого лагеря. Он пожелал им весёлого и содержательного отдыха. От имени пионеров выступила «ветеран» лагеря, десятиклассница Яна Лашакова.

После окончания торжественной линейки начался праздничный концерт с участием ансамбля «Мзиури» и юных скрипачей Республиканского дворца пионеров и школьников.

А завершился праздник весёлой дискотекой, организованной комитетом комсомола МВД ГССР.

Пожелаем же ребятам хорошего отдыха!

Р. СЫРОВАТКИНА.

На снимке: торжественное поднятие флага, в честь открытия лагеря.

## სხვადასხვა ინფორმაცია

### მოსკოვის კინოფესტივალის ფილმები თბილისში

**მოსკოვში** გაიხსნა XV საერთაშორისო კინოფესტივალი, რომლის მონაწილეებსაც მისასალმებელი წერილი გაუგზავნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. ფესტივალის გახსნის დღიდან ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში დაიწყო ამ კინოფორუმზე წარმოდგენილი ფილმების ჩვენება, რაც სამ კვირას გასტანს.

თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს საშუალება აქვთ ნახონ ცნობილი ამერიკელი რეჟისორების ფრენსის ფორდ კოპოლასა და ჯონ ბედჰემის, პოპულარული ინდოელი რეჟისორისა და მსახიობის რაჯ კაპურის, იტალიელი დამიანო დამიანისა და უნგრელი ზოლტან ფაბრის ახალი ნამუშევრები. კინომოყვარულები გაეცნობიან აგრეთვე საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გდრ-ის კინემატოგრაფისტთა ნაწარმოებებს.

### პირველ ადგილზე — პოლიციელები

**ერთ-ერთი** დასავლეთგერმანული კვლევითი ინსტიტუტის ფსიქოლოგებმა ჩაატარეს გამოკვლევა სხვადასხვა პროფესიის ადამიანების სტრესულ მდგომარეობაზე.

გამოკვლევის შედეგად სტრესების მხრივ პირველი აღმოჩნდნენ პოლიციელები, შემდეგ მეშახტეები, მესამე ადგილი „წილად ხვდათ" ჟურნალისტებს.

# На сцене — самодеятельность

Большой популярностью пользуются у населения выступления коллективов художественной самодеятельности. Не стал исключением в этом плане и состоявшийся недавно в зале летнего театра города Батуми смотр-конкурс самодеятельных коллективов министерства внутренних дел Аджарской АССР, посвященный 70-летию Великой Октябрьской Социалистической революции.

В нем приняли участие вокально - хореографические ансамбли отделов вневедомственной и пожарной охраны центрального аппарата министерства, Батумского ГОВД, Хелвачаурского и Шуахевского РОВД. В состав самодеятельных коллективов входили как работники органов внутренних дел, так и члены их семей.

Наиболее успешно выступили на конкурсе художественные коллективы отдела пожарной охраны и Шуахевского РОВД, руководимые лауреатом республиканских и союзных олимпиад, капитаном милиции Нодаром Давитадзе и заслуженным деятелем культуры Аджарской АССР Шалвой Дарчия. Следует отметить и хорошее выступление самодеятельного коллектива Хелвачаурского РОВД, руководство которого сумело в короткий срок сформировать ансамбль и подготовить интересный репертуар.

Сейчас коллективы художественной самодеятельности органов внутренних дел Аджарской АССР готовятся к республиканскому смотру II Всесоюзного фестиваля народного творчества, работают над расширением репертуара, совершенствованием своего исполнительского мастерства.

**Т. ТАВДГИРИДЗЕ,**
**капитан милиции, помощник начальника политического отдела МВД Аджарской АССР по комсомольской работе.**

**НА СНИМКЕ: аджарский танец в исполнении ансамбля Шуахевского РОВД.**





# ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

**გამოვიდა** „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" ბოლო ტომი. ქართული უნივერსალური ენციკლოპედიის გამოცემის დასრულება მთელი მისი შემოქმედებითი კოლექტივის, ქართველი ინტელიგენციის, მთელი ქართველი ხალხის ჭეშმარიტი ზეიმია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის წინ, ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის საიუბილეო დღესასწაულის კვირაძალზე.

ენციკლოპედიის მთავარი რედაქცია განაგრძობს მუშაობას, მიმდინარე წელს გამოსცემს სამ ლექსიკონს, რომელსაც ამზადებს ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად. მზადდება სხვა ლექსიკონები და ენციკლოპედიებიც.

## სპორტი　　СПОРТ

# სატურნირო ორბიტა

**ბილბაოს** (ესპანეთი) ვაჟთა საჭადრაკო ტურნირზე დაუმარცხებლად იასპარეზა და საპატიო მესამე ადგილი დაიკავა მაია ჩიბურდანიძემ.

**6 ივლისს** თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩი. ადგილობრივმა დინამოელებმა დაამარცხეს იაროსლავლის „შინიკი" ანგარიშით 4:1.

მატჩის შემდეგ დასავლეთ ტრიბუნაზე ფეხბურთის გულშემატკივრებისა და ჟურნალისტების წინაშე წარსდგნენ „დინამოს" ხელმძღვანელები და გუნდის წევრები, რომლებმაც უპასუხეს მრავალრიცხოვან შეკითხვებს.

**ჟენევა.** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა მეტოქე უეფას თასის გათამაშების პირველ ეტაპზე იქნება სოფიის „ლოკომოტივი" (ბულგარეთი). მათი პირველი მატჩი სოფიაში გაიმართება 16 სექტემბერს.

**ლონდონი.** დამთავრდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული უიმბლდონის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ერთეულთა თანრიგში გაიმარჯვეს პატ კეშმა (ავსტრალია) და მარტინა ნავრატილოვამ (აშშ).

### ტელევიზია

პირველი პროგრამა

**ოთხშაბათი, 15 ივლისი**

22.40 — განაჩენის შემდეგ

**ხუთშაბათი, 16 ივლისი**

19.40 — წერილის დღე — ცილისმწამებლები



### რადიო

პირველი პროგრამა

**ორშაბათი, 13 ივლისი**

19.40 — „ადამიანი და კანონი". — რადიოჟურნალი (მ)

**ხუთშაბათი, 16 ივლისი**

17.35 — მოზარდი — ყველას საფიქრალი და საზრუნავი

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025. გოგოლის ქ. № 23. ტელეფონი:
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ. 380025. УЛ. ГОГОЛЯ, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.　უე 07005

რედაქტორი ა. კოზბალაძე